პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
არამატერიალური ქონებრივი სიკეთე
შპს ,,საფეხბურთო კლუბი ქუთაისის მართვეს" (ს/ნ 412727214) 100%-იანი წილის
ელექტრონული აუქციონის წესით გასხვისების თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 124-ე მუხლის, 125-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის, 126-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის 2023 წლის ----------წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს ელექტრონული აუქციონის წესით შპს ,,საფეხბურთო კლუბი ქუთაისის მართვეს" (ს/ნ 412727214) 100%-იანი წილის გასხვისების თაობაზე.

მუხლი 2. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის (№001314023; 27.02.2023 წლის) მიხედვით, რომელიც შეადგენს 38 367.00 (ოცდათვრამეტიათასსამასსამოცდაშვიდი) ლარი.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
არამატერიალური ქონებრივი სიკეთე
შპს ,,საფეხბურთო კლუბი ქუთაისის მართვეს" (ს/ნ 412727214) 100%-იანი წილის
ელექტრონული აუქციონის წესით გასხვისების თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს შპს ,,საფეხბურთო კლუბი ქუთაისის მართვეს" (ს/ნ 412727214) 100%-იანი წილის მფლობელ პარტნიორს. წესდების თანახმად, საზოგადოების მიზანია ქართული ფეხბურთის პოპულარიზაცია, ქუთაისის საფეხბურთო ტრადიციების აღდგენა და განვითარება, მოზარდი თაობის ჯანსაღი აღზრდა. მიმდინარე პერიოდისათვის საზოგადოებას არ აქვს რაიმე სახის ვალდებულებები, არ ერიცხება არც დებიტორული და არც კრედიტორული დავალიანება, ასევე საკუთრებაში არ აქვს მოძრავი და უძრავი ქონებები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 124-ე მუხლის, 125-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის, 126-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების შესაბამისად, საზოგადოების წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, მიზანშეწონილია, განხორციელდეს არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შპს ,,საფეხბურთო კლუბი ქუთაისის მართვეს" (ს/ნ 412727214) 100%-იანი წილის განკარგვა აუქციონის წესით. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის (№001314023; 27.02.2023 წლის) მიხედვით, საფეხბურთო კლუბის საბაზრო ღირებულება მიმდინარე პერიოდისათვის საორიენტაციოდ შეადგენს 38 367.00 (ოცდათვრამეტიათას სამასსამოცდაშვიდი) ლარს.

წარმოდგენილია განკარგულების პროექტი შპს ,,საფეხბურთო კლუბი ქუთაისის მართვეს" (ს/ნ 412727214) 100%-იანი წილის ელექტრონული აუქციონის წესით გასხვისების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ.

განკარგულების პროექტს საკრებულოს სხდომაზე წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი